სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში

ანა კირთაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ტურიზმის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბეგაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.[1]

ანა კირთაძე

03.07.2021

[1] ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო როგორც სიმულაციური ნაშრომი აკადემიური წერის კურსზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (09.02.2021)“.

აბსტრაქტი

2019 წლის დასასრულს მსოფლიოს ჯანდაცვის სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დადგა. COVID-19 ადამიანის ჯანრთელობისთვის სერიოზული ზიანის მომტანი აღმოჩნდა, გამოიწვია მთელი რიგი გართულებები, რის გამოც დადგა პოსტკოვიდურ სინდრომთან გამკლავების საჭიროება. პანდემიამ სარეაბილიტაციო და რეკრეაციული ზონების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა საქართველოში პოსტპანდემიურ პერიოდში. ნაშრომის საკვლევი საკითხები მოიცავს საქართველოს ბუნებრივი რესურსების, კორონავირუსით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემების, რეაბილიტაციის ეფექტური გზების განსაზღვრასა და ამ კუთხით საქართველოს კურორტების პოტენციალის წარმოჩენას.

საკვლევი თემის მიზნის მისაღწევად ჩატარებული კაბინეტური და თვისობრივი კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე დიდი პოტენციალი გააჩნია სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განსავითარებლად, თუმცა სფეროში არსებობს გარკვეული სახის პრობლემები, რომელთა მოგვარება აუცილებელია. აგრეთვე იდენტიფიცირდა პოსტკოვიდური ჯანმრთელობის პრობლემები და მათი მოგვარების გზები.

ჩატარებული კვლევის შედეგად განისაზღრა საქართველოს კურორტების ნიშა პოსკოვდური რეაბილიტაციის მიმართულებით. მიღებული შედეგებით შესაძლებელია სამომავლო, სწორი ხედვების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორცილება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *COVID-19, პოსტკოვიდური სინდრომი, პანდემია, რეაბილიტაცია*

Abstract

At the end of 2019, the world healthcare system faced a significant challenge. COVID-19 has been found to cause serious harm to human health, causing a number of complications, which has led to the need to deal with postcovid syndrome. The pandemic has further increased the importance of rehabilitation and recreational areas. The research topic of the master's thesis is to determine the prospects for the development of medical tourism in Georgia in the post-pandemic period. The research issues of the paper include the identification of natural resources of Georgia, health problems caused by coronavirus, effective ways of rehabilitation and demonstration of the potential of Georgian resorts in this regard.

Based on the cabinet and qualitative research conducted to achieve the goal of the research topic, it was revealed that Georgia has great potential for the development of medical tourism due to its diverse natural resources, although there are some problems in the field that need to be addressed. Postcoid health problems and ways to solve them were also identified.

As a result of the conducted research, the niche of Georgian resorts in the direction of post-codification rehabilitation was determined. With the obtained results it is possible to determine the future, correct visions and to plan / implement appropriate measures.

Key words: *COVID-19, postcovid syndrome, pandemy, rehabilitation*

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ასოცირებულ პროფესორს ბატონ გიორგი ბეგაძეს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მიღებული დახმარებისა და რჩევებისთვის. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე სამედიცინო პერონალს და პოსტკოვიდ ცენტრების ადმინისტრაციას.